არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აისახება ხარჯებში არამატერიალური აქტივებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- პროგრამული უზრუნველყოფა 10 წელი;
- სხვა არამატერიალური აქტივები 10 წელი.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

#### **საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება ან/და ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

საწყისი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულებისა და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება ამ აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

#### **მფლობელთა კაპიტალი**

მფლობელთა კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მეწილეების მიერ კომპანიის საკუთარ კაპიტალში შეტანილი თანხებისა და აქტივების შეტანის თარიღისთვის შეფასებულ სამართლიან ღირებულებას.

#### **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები არის ფინანსური აქტივები, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთებს.

#### **მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადები წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის დარიცხვა/კრედიტი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებებში. მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან მისაღებია მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღრიცხულია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯში.

#### **დივიდენდები**

დივიდენდები აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს იმ პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, აისახება საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

#### **გაქვითვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაქვითულად აღირიცხება და წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა მოხდეს ურთიერთ-ჩარიცხვა ან მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დარეგულირება ერთდროულად.

#### **პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები**

ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

#### **შემოსავალი მომსახურების გაწევიდან**

შემოსავლებს წარმოადგენს სამედიცინო მომსახურებიდან და იჯარით გაცემული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები.

შემოსავლების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში თუ მთლიანი ეკონომიური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელთა გაზომვა საიმედოთაა შესაძლებელი.

### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით.

სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად, კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით.

დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება 2022 წელს განაწილებულიყო 2021 საანგარიშო წლის მოგება.

### საქონლისა და მომსახურების შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება აღიარებული შემოსავლების პროპორციულად. ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გაწვევისთანავე, თუ მის შედეგად მოსალოდნელი აღარ არის ეკონომიური სარგებლის მიღება ან თუ მომავალი ეკონომიური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან წყვეტს იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომელიც მის ბალანსში აქტივად აღიარებისთვისაა აუცილებელი.

### 3. მნიშვნელოვანი მოვლენა

საანგარიშგებო პერიოდში აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

#### 4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

| ფული და ფულის ექვივალენტები         | 31.12.2022     | 31.12.2021     |
|-------------------------------------|----------------|----------------|
| ნაღდი ფული სალაროში                 | 2,348          | 2,964          |
| ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე | 180,007        | 86,251         |
| მოთხოვნამდე ანაბარი ბაზის ბანკში    | -              | 135,162        |
| <b>სულ</b>                          | <b>182,355</b> | <b>224,377</b> |

კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის რაიმე სახის ზარალს იმ ბანკების ვალდებულებების შესაძლო შეუსრულებლობის გამო, სადაც ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტებია განთავსებული. ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების საბალანსო და რეალური ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

#### 5. მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან

გაწეული მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები მოიცავს:

| მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან           | 31.12.2022     | 31.12.2021     |
|---------------------------------------------|----------------|----------------|
| მოთხოვნები ლაბორატორიული და ბაქტერიოლოგიური | 23,729         | 22,719         |
| მომსახურების გაწევიდან                      |                |                |
| მოთხოვნები სახელმწიფო ორგანიზაციებთან       | 113,807        | 117,490        |
| მოთხოვნები მეიჯარეებთან                     | 77,606         | 47,976         |
| სხვა მოთხოვნები                             | 46,346         | 73,820         |
| <b>სულ</b>                                  | <b>261,488</b> | <b>262,006</b> |

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

| მოთხოვნები ლაბორატორიული და ბაქტერიოლოგიური მომსახურების გაწევიდან |     |
|--------------------------------------------------------------------|-----|
| გინემედი შპს                                                       | 120 |
| უნიდენტ                                                            | 225 |
| საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი                         | 35  |
| ესთერი შპს                                                         | 72  |
| ქართულ-გერმანული იმპლანტაციის ცენტრი შპს                           | 255 |
| კონფიდენს გრუპი შპს                                                | 200 |
| ტავ ურბან საქართველო                                               | 240 |
| ქართულ ავსტრალიური სკოლის აუზი (მწვანე სკოლა დიდი დილომი)          | 50  |
| ტაბახმელას საბავშვო ბაგა-ბაღი                                      | 25  |
| ოქსფორდ მედიკალ ჯორჯია (თბილისი) შპს GE89LB0113116150935002        | 75  |

შპს ჯანმრთელობის ცენტრი  
ს/კ 211381994

|                                                                               |               |
|-------------------------------------------------------------------------------|---------------|
| ჰეფი პული შპს                                                                 | 100           |
| ოპტიმალ მედი შპს                                                              | 9,614         |
| ლანცეტი კლინიკა შპს                                                           | 50            |
| მედისონ ჰოლდინგი შპს                                                          | 2,334         |
| მობილმედსერვისი შპს                                                           | 2,234         |
| კლინიკა ნიუველი (თბილისი სითი მედიკალ შპს იგივე ელიზაბეტ ბლექველის ჰოსპიტალი) | 5,350         |
| პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტი                                           | 20            |
| რეიმანი შპს                                                                   | 899           |
| ბაიები                                                                        | 250           |
| ჯანმრთელი ოჯახი შპს                                                           | 29            |
| ჯეო სანი შპს                                                                  | 50            |
| გაურკვეველი                                                                   | 105           |
| დომინანტი შპს                                                                 | 22            |
| სს ევექსის ჰოსპიტლები-კარაფს მედლაინი                                         | 525           |
| თბილისის ონკოლოგიური ინსტიტუტი                                                | 100           |
| კენ ვოლკერის სარეაბილიტაციო საუნივერსიტეტო კლინიკა                            | 50            |
| კოპალა 3 შპს                                                                  | 50            |
| პოსეიდონი შპს                                                                 | 600           |
| კომპანია რეზიდ ჰოლდინგი თბილისი                                               | 50            |
| <b>სულ</b>                                                                    | <b>23,729</b> |

მოთხოვნები სახელმწიფო ორგანიზაციებთან

|                                                                                 |                |
|---------------------------------------------------------------------------------|----------------|
| ვანის რაიონის გამგეობა                                                          | 240            |
| თბილისის მერია                                                                  | 380            |
| თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია                                               | 560            |
| სიღნაღის გამგეობა                                                               | 300            |
| სოც მომსახურების სააგენტო /გადაუდებ ამბულატორიული/საბაზისოპაკეტი 36 დადგენილება | 450            |
| გეგმიური ამბულატორია კაპიტაცია 36 დადგენილება ახალი(new)                        | 33,093         |
| სოც სააგენტო / გეგმიური ქირურგია DRG                                            | 60,449         |
| სოც სააგენტო /გეგმიური ქირურგიული პაკეტი/36 დადგენილება ახალი                   | 294            |
| სოც სააგენტო /გეგმიური ქირურგიული ასაკობრივი პაკეტი/165დადგენილება              | 16,204         |
| სოც სააგენტო /გეგმიური ქირურგიული მიზნობრივი პაკეტი/218 დადგენილება             | 1,838          |
| <b>სულ</b>                                                                      | <b>113,807</b> |

მოთხოვნები მეიჯარეებთან

|                       |       |
|-----------------------|-------|
| ნანა ჯაბანაშვილი_კაფე | 105   |
| ჯემინი                | 119   |
| თეომედი               | 6,387 |
| დნმ დიაგნოსტიკა       | 567   |

შპს ჯანმრთელობის ცენტრი  
ს/კ 211381994

|                                    |               |
|------------------------------------|---------------|
| კერა თრეველი                       | 1,679         |
| ვეროდენტი შპს                      | 4,343         |
| ჯეი-ემ-ქეი შპს                     | 1,736         |
| შპს ენცო 77                        | 21,570        |
| ენცო 77 შპს                        | 10,355        |
| ი/მ ქეთევან ხუციშვილი (ინდი მინდი) | 9,122         |
| შპს ჰპ 14                          | 21,623        |
| <b>სულ</b>                         | <b>77,606</b> |

სხვა მოთხოვნები

|                                                                                 |               |
|---------------------------------------------------------------------------------|---------------|
| ტერმინალი თიბისი                                                                | 2,406         |
| ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და<br>საზ.ჯანმრთ.ეროვნული ცენტრი | 3,530         |
| კუმისის ამბულატორია                                                             | 362           |
| სადაზღვევო კომპანია არდი-ჯუფი                                                   | 869           |
| ირაო                                                                            | 2,914         |
| გია ქავთარაძე                                                                   | (10)          |
| ურა ტაველიშვილი                                                                 | 11            |
| პსპ -აფთიაქი_GE30BR0000010228710698                                             | 22            |
| თბილისი ნუცუბიძის ფერდობი3მკრ 1კვ.16კორპ.ბ15 _<br>GE50BG0000000632078100_0.3%   | 28            |
| შპს ტონუსი 23.06.2014-დან (ზედმეტად გადახდილი თანხა)                            | 48            |
| შპს ნექსტ დეიტა სისტემს                                                         | 36,167        |
| <b>სულ</b>                                                                      | <b>46,346</b> |

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები                  | ნაშთი<br>31.12.2021 | მიღება         | გასვლა         | ნაშთი<br>31.12.2022 |
|----------------------------------------------------|---------------------|----------------|----------------|---------------------|
| მედიკამენტები და ერთჯერადი<br>მოხმარების პროდუქცია | -                   | 156,178        | 117,657        | 38,135              |
| საწვავი                                            | 1,164               | 7,492          | 6,186          | 2,470               |
| სხვადასხვა მარაგები                                | 71,666              | 245,769        | 317,435        | -                   |
|                                                    | <b>72,830</b>       | <b>409,439</b> | <b>441,278</b> | <b>40,605</b>       |

7. ძირითადი საშუალებები

| ძირითადი საშუალებები                                       | მიწის<br>ნაკვეთები | შენობა-<br>ნაგებობები | მანქანა-<br>დანადგარები | სამედიცინო<br>აპარატურა და<br>ინვენტარი | სხვა<br>ძირითადი<br>საშუალებები | ოფისის<br>აღჭურვილობა | კომპიუტერული<br>ტექნიკა | ავეჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ       |
|------------------------------------------------------------|--------------------|-----------------------|-------------------------|-----------------------------------------|---------------------------------|-----------------------|-------------------------|-------------------------------|-----------------------------|-----------|
| ისტორიული ღირებულება 31.12.2021-ის<br>მდგომარეობით         | 535,745            | 2,692,842             | 70,124                  | 1,220,985                               | 51,075                          | 66,475                | 71,879                  | 70,144                        | 36,100                      | 4,815,369 |
| დაგროვილი ცვეთა 31.12.2021-ის<br>მდგომარეობით              | -                  | 1,038,887             | 36,433                  | 629,142                                 | 44,066                          | 58,411                | 34,137                  | 61,423                        | 25,930                      | 1,928,428 |
| ნარჩენი საბალანსო ღირებულება<br>31.12.2021-ის მდგომარეობით | 535,745            | 1,653,955             | 33,691                  | 591,843                                 | 7,009                           | 8,064                 | 37,742                  | 8,721                         | 10,170                      | 2,886,941 |
| ძირითადი საშუალებების შემოსვლა                             | -                  | -                     | -                       | 12,461                                  | -                               | -                     | 2,065                   | -                             | -                           | 14,526    |
| ძირითადი საშუალებების გასვლა                               | -                  | -                     | -                       | -                                       | 237                             | -                     | -                       | -                             | -                           | 237       |
| ძირითადი საშუალებების დარიცხული<br>ამორტიზაცია             | -                  | 53,857                | 3,979                   | 95,860                                  | 2,534                           | 258                   | 4,557                   | 133                           | 1,130                       | 162,309   |
| ნარჩენი საბალანსო ღირებულება<br>31.12.2022-ის მდგომარეობით | 535,745            | 1,600,098             | 29,712                  | 508,444                                 | 4,237                           | 7,805                 | 35,251                  | 8,588                         | 9,040                       | 2,738,921 |

8. არამატერიალური აქტივები

| არამატერიალური აქტივები                                    | სპეც. პროგრამა | სხვა არამატერიალური<br>აქტივები | სულ    |
|------------------------------------------------------------|----------------|---------------------------------|--------|
| ისტორიული ღირებულება 31.12.2021-ის<br>მდგომარეობით         | 45,697         | 975                             | 46,672 |
| დაგროვილი ამორტიზაცია 31.12.2021-ის<br>მდგომარეობით        | 3,878          | 89                              | 3,968  |
| ნარჩენი საბალანსო ღირებულება<br>31.12.2021-ის მდგომარეობით | 41,819         | 885                             | 42,704 |
| არამატერიალური აქტივების შემოსვლა                          | -              | -                               | -      |
| არამატერიალური აქტივების გასვლა                            | -              | -                               | -      |
| არამატერიალურ აქტივებზე დარიცხული<br>ამორტიზაცია           | 8,889          | 117                             | 9,006  |
| ნარჩენი საბალანსო ღირებულება<br>31.12.2022-ის მდგომარეობით | 32,929         | 768                             | 33,698 |

9. საოპერაციო შემოსავალი

| საოპერაციო შემოსავალი               | 2022             | 2021             |
|-------------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი სამედიცინო საქმიანობიდან | 1,367,297        | 1,301,487        |
| შემოსავალი ავთიაქიდან               | 1,497            | 15,096           |
| შემოსავალი იჯარიდან                 | 193,718          | 210,641          |
|                                     | <u>1,562,513</u> | <u>1,527,224</u> |

10. არასაოპერაციო შემოსავალი

| არასაოპერაციო შემოსავალი | 2022           | 2021           |
|--------------------------|----------------|----------------|
| საპროცენტო შემოსავლები   | 7,158          | 4,838          |
| არასაოპერაციო შემოსავალი | 171,257        | 355,407        |
| ანაზრადან თანხის მიღება  | 434            | -              |
| შემოსავალი ინვესტიზაციით | 688            | -              |
|                          | <u>179,537</u> | <u>360,245</u> |

11. ხელფასები დაქირავებულ პირებზე

| ხელფასები დაქირავებულ პირებზე       | 2022           | 2021           |
|-------------------------------------|----------------|----------------|
| ოპერაციული ოფთალმოლოგიის ხარჯი      |                | 30,157         |
| ოპერაციული გინეკოლოგია              | -              | 205            |
| ადმინისტრაციის ხელფასის ხარჯი       | 107,247        | 140,390        |
| ამბულატორიის ხელფასის ხარჯი         | 244,868        | 232,355        |
| ავთიაქის ხელფასის ხარჯი             | 11,645         | 11,186         |
| დამხმარე პერსონალის ხელფასის ხარჯი  | 83,570         | 76,055         |
| აუზის ხელფასის ხარჯი                | 76,574         | 66,263         |
| რენდგენის ხელფასის ხარჯი            | 13,653         | 11,242         |
| ბაქტერიოლოგიის ხელფასის ხარჯი       | 92,717         | 67,874         |
| ქირურგიის ხელფასის ხარჯი            | 7,318          | 10,714         |
| ოფთალმოლოგიის ხელფასის ხარჯი        | 61,725         | 34,696         |
| ოპერაციული ქირურგიის ხელფასის ხარჯი | 100,970        | 26,032         |
| ბიოქიმიის ხელფასის ხარჯი            | 49,166         | 45,660         |
| ექოსკოპიის ხელფასის ხარჯი           | 45,013         | 41,438         |
| გინეკოლოგიის ხელფასის ხარჯი         | 60,876         | 23,562         |
| კლინიკის ხელფასის ხარჯი             | 26,292         | 21,748         |
| ლაზეროთერაპიის ხელფასის ხარჯი       | 6,384          | 30,278         |
| ფიტნესის ხელფასის ხარჯი             | 2,225          | 3,473          |
| საპენსიო ხარჯი                      | 7,716          | 5,430          |
|                                     | <u>997,960</u> | <u>878,761</u> |

12. მედიკამენტები და ერთჯერადი მოხმარების საგნები

| მედიკამენტები და ერთჯერადი მოხმარების საგნები | 2022           | 2021           |
|-----------------------------------------------|----------------|----------------|
| ამბულატორია                                   | 84,837         | 36,693         |
| ოპერაციული ქირურგია                           | 52,617         | 80,508         |
| ოფთალმოლოგია                                  | 27,159         | 20,026         |
| ქირურგია                                      | 2,926          | 875            |
| რენტგენი                                      | 1,699          | 557            |
| კლინიკა                                       | 5,650          | 8,988          |
| ბიოქიმია                                      | 7,272          | 26,859         |
| ბაქტერიოლოგია                                 | 11,209         | 11,395         |
| გინეკოლოგია                                   | 1,002          | 1,119          |
| ექოსკოპია                                     | 3,044          | 815            |
| აუზი                                          | 16,321         | 8,891          |
| სხვა                                          | 115,317        | 243,762        |
|                                               | <b>329,055</b> | <b>440,487</b> |

13. ცვეთა და ამორტიზაცია

| ცვეთა და ამორტიზაცია                | 2022           | 2021           |
|-------------------------------------|----------------|----------------|
| შენობის ცვეთა                       | 53,857         | 53,857         |
| მანქანა-დანადგარების ცვეთა          | 3,979          | 4,742          |
| სამედიცინო აპარატურა                | 89,484         | 92,367         |
| სხვა ძირითადი საშუალებები           | 2,771          | 534            |
| ოფისის აღჭურვილობის ცვეთა           | 258            | 1,292          |
| კომპიუტერული ტექნიკა                | 4,557          | 3,858          |
| ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა    | 133            | 931            |
| სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა     | 1,130          | 1,808          |
| აპარატურა                           | 6,376          | 7,312          |
| არამატერიალური ძირითადი საშუალებები | 9,006          | 2,905          |
|                                     | <b>171,552</b> | <b>169,606</b> |

14. სხვადასხვა ხარჯები

| სხვადასხვა ხარჯები                       | 2022           | 2021           |
|------------------------------------------|----------------|----------------|
| ოპერაციული ქირურგიის ხარჯი               | 1,972          | 71,564         |
| სამეურნეო ხარჯი                          | 14,544         | 9,731          |
| შემენების ხარჯი                          | -              | 419            |
| სხვა ხარჯები                             | 6,972          | 2,621          |
| ხელფასი (მუდმივი)                        | -              | 29             |
| ხელფასი ცვლადი (მუდმივი)                 | -              | 40             |
| სხვა მომსახურების ხარჯი                  | 16,601         | 13,848         |
| ავტომომსახურება                          | 212            | 169            |
| საბანკო ხარჯი                            | 1,904          | 5,538          |
| სხვა საერთო ხარჯი                        | 3,651          | 540            |
| არასაგადასახადო (მხოლოდ ფინანსური) ხარჯი | 103,491        | 2,645          |
|                                          | <u>149,347</u> | <u>107,144</u> |

15. კომუნალური მომსახურების ხარჯები

| კომუნალური მომსახურების ხარჯები | 2022          | 2021          |
|---------------------------------|---------------|---------------|
| სალარო აპარატის მომსახურება     | -             | 323           |
| დასუფთავება                     | 5,297         | 3,136         |
| თელასი                          | 26,727        | 11,964        |
| სილქნეტი                        | 1,233         | 1,233         |
| გაზი                            | 34,713        | 32,076        |
| წყალი                           | 16,665        | 14,630        |
| მაგთიკომი                       | 1,134         | 1,010         |
| სამედიცინო ნარჩენების გატანა    | 1,620         | 1,620         |
| საქართველოს ფოსტა               | 881           | 334           |
| სხვა                            | 1,975         | -             |
|                                 | <u>90,244</u> | <u>66,325</u> |

16. საგადასახადო ხარჯი

| საგადასახადო ხარჯი | 2022          | 2021          |
|--------------------|---------------|---------------|
| ქონების გადასახადი | 14,274        | -             |
| დღგ                | 36,255        | 12,925        |
|                    | <u>50,529</u> | <u>12,925</u> |

#### 17. არასაოპერაციო ხარჯები

| არასაოპერაციო ხარჯი              | 2022          | 2021          |
|----------------------------------|---------------|---------------|
| უარყოფითი საკუროს სხვაობის ხარჯი | 1,128         | 30,746        |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი         | 1,100         | 917           |
| მოგების გადასახადი               | 26,473        | -             |
|                                  | <b>28,701</b> | <b>31,663</b> |

#### 18. მიღებული პროცენტები

| მიღებული პროცენტები                                              | 2022       | 2021         |
|------------------------------------------------------------------|------------|--------------|
| ბაზის ბანკში განთავსებულ მოთხოვნამდე ანაზარზე დარიცხული პროცენტი | 940        | 4,838        |
|                                                                  | <b>940</b> | <b>4,838</b> |

#### 19. გადახდილი დივიდენდები

აღნიშნული სახის შემოსავლების და ხარჯების ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აღრიცხვის მიზნით გამოყენებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს)-ის 7.15 მუხლის დაშვებები, კერძოდ: "საწარმოს უფლება აქვს, გადახდილ პროცენტებს, ასევე მიღებულ პროცენტებსა და დივიდენდებს მიანიჭოს საოპერაციო ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია, რადგან ისინი მონაწილეობს მოგების ან ზარალის განსაზღვრაში". ანუ მიღებული პროცენტებს და გაცემული დივიდენდებს მიენიჭა საოპერაციო ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია (და არა საფინანსო ან საინვესტიციო ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია).

| გადახდილი დივიდენდები | 2022           | 2021          |
|-----------------------|----------------|---------------|
| ირაკლი ბეგოიძე        | 8,112          | 3,925         |
| გია ხარებაშვილი       | 11,284         | 5,460         |
| გია ქავთარაძე         | 44,463         | 21,513        |
| ქეთევან ზეინკლიშვილი  | 2,061          | 997           |
| ვაჟა ნადირაშვილი      | 585            | 349           |
| ლალი გუჯაბიძე         | 76,006         | 36,774        |
| მარინა ასათიანი       | 292            | -             |
| ლიანა ლომიძე          | 438            | 212           |
| მარინე დარსაველიძე    | 731            | -             |
| თამარ ლომიძე          | 731            | 354           |
| ნატალია ჭავჭავაძე     | 731            | 354           |
| მარინე დარსაველიძე    | -              | 354           |
| გიორგი თვალთვაძე      | -              | 354           |
| მარინე ასათიანი       | -              | 141           |
|                       | <b>145,434</b> | <b>70,786</b> |

20. ძირითადი საშუალების ყიდვები

როგორც შენიშვნა #7-დან ჩანს, 2022 წელს შეძენილია 14,526 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალება. ამ მიზნით გასულმა ფულადმა ნაკადმა შეადგინა - 13,426.50 ლარი.

21-22. მიღებული და გაცემული სესხები

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ გასცა სესხი თანამშრომელზე - უჩა ტაველაშვილზე, 278,320 ლარის ოდენობით, რომელიც იმავე წლის ბოლოს დაბრუნდა ძირითადი თანხით 278,320 ლარი და პროცენტით - 7 719 ლარი.

23. კაპიტალი

ცხრილში მოცემულია კომპანიის კაპიტალის მუხლობრივი ჩაშლა 2021 და 2022 წლების ბოლოსათვის:

| კაპიტალი                  | 2022             | 2021             |
|---------------------------|------------------|------------------|
| საწესდებო კაპიტალი შპს-ში | 251,682          | 251,682          |
| სარეზერვო კაპიტალი        | 3,054,481        | 3,030,383        |
| მიმდინარე პერიოდის ზარალი | (88,074)         |                  |
|                           | <u>3,218,089</u> | <u>3,282,065</u> |